პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 24 აპრილი, 1943 წ. № 92 (6717). ფასი 20 კაპ.

იაროსლავლელ კოლმეურნეთა პატრიოტული თაოსნობა

კოლმეურნე გლეხობა მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარს ფრონტს, ჰიტლერელ ყაჩაღთა ბანდებზე გამარჯვების საქმეს. საზიზღარი დამპყრობლებისადმი უდიდესი სიძულვილით არის გამსჭვალული კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა გული. წამებული ძმებისა და დების სისხლი, საშინელი ტანჯვა საბჭოთა ადამიანებისა, რომელნიც დროებით მოხვდნენ ფაშისტთა უღელქვეშ, გერმანელების მიერ გაძარცული და გადამწვარი საბჭოთა ქალაქები და სოფლები, გადათელილი ყანები საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს მოუწოდებენ მტრის მიმართ წმიდა შურისძიებისაკენ, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომისაკენ.

სამამულო ომის დღეებში კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა გვიჩვენეს მაგალითები თავიანთი სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურისა, გვიჩვენეს მაგალითები, რომელთა მსგავსი ჯერ არ ახსოვს ისტორიას. კოლმეურნეობები პატიოსნად და წესიერად აწვდიან ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს სურსათს, ხოლო მრეწველობას — ნედლეულს. კოლმეურნეებმა დიდძალი სახსრები შეიტანეს თავდაცვის საჭიროებისათვის.

კოლმეურნენი და კოლმეურნე ქალები სულ ახალ-ახალ წყაროებს სძებნიან იმისათვის, რომ გააძლიერონ წითელი არმიისადმი დახმარება. ახლა სოფელში ახალი დიდი პატრიოტული მოძრაობა იწყება. დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება იაროსლავლის ოლქის იაროსლავლის რაიონის არტელ გორშიხის კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალების მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნისა და კოლმეურნე ქალისადმი; ეს მიმართვა გამსჭვალულია ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაზე ზრუნვით.

არტელ გორშიხის კოლმეურნეებმა თავიანთ კრებაზე ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით დასთესონ თავდაცვის და ჰიტლერელ დამპყრობთაგან დაზარალებულ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დახმარების ფონდისათვის 20 ჰექტარი მარცვლეული კულტურები. ამ ფართობის დათესვა უზრუნველყოფილი იქნება იმ თესლით, რომელსაც კოლმეურნენი ნებაყოფლობით იძლევიან თავიანთი პირადი მარაგიდან.

არტელ გორშიხის კოლმეურნეებმა, რომელნიც მეოორეობის ფერმაში მუშაობენ, გადასწყვიტეს გეგმის გადამეტებით დასთესონ ერთი ჰექტარი კარტოფილი, რომლისათვის საჭირო თესლს აგრეთვე პირადი მარაგიდან გამოჰყოფენ, ხოლო მერძეობის ფერმის კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს დასთესონ 2 ჰექტარი ძირხვენები და სახელმწიფო გეგმის გადამეტებით გაასუქონ და გადასცენ თავდაცვის ფონდს 5 ღორი და 3 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი. გარდა ამისა, მიცხოველეობის ფერმების კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს გამოზარდონ 10 სული მსხვილფეხა საქონელი და 10 ცხვარი იმ კოლმეურნეობებისათვის გადასაცემად, რომლებიც განთავისუფლებულია და თავისუფლდება გერმანელ ოკუპანტთაგან.

არტელ გორშიხის კოლმეურნეები მოუწოდებენ საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნისა და კოლმეურნე ქალს მიჰბაძონ მათს მაგალითს.

იაროსლავლელ კოლმეურნეთა კეთილშობილური პატრიოტული თაოსნობა უმხურვალეს გამოხმაურებას ჰპოვებს ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში. ეჭვი არ არის, რომ კოლმეურნენი და კოლმეურნე ქალები საბჭოთა პატრიოტებისათვის ჩვეული მთელი გულუხვობით გამოეხმაურებიან იაროსლავლელთა მოწოდებას. ყოველ კოლმეურნეობას შეუძლია გეგმის გადამეტებით დასთესოს მიწა, რომლის მოსავალი ფაშისტ დამპყრობთაგან დაზარალებულ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დახმარების ფონდში გადავა. ყოველ კოლმეურნეობას შეუძლია ამ მიზნისათვის გეგმის გადამეტებით გამოზარდოს, გაასუქოს საქონლის განსაზღვრული რაოდენობა.

გასული წლის გაზაფხულზე კრასნოარის მხარის ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის არტელის მოწოდების პასუხად, კოლმეურნეობებმა ათასობით ჰექტარი დასთესეს თავდაცვის და განთავისუფლებული რაიონების დახმარების ფონდისათვის. კოლმეურნენი მზრუნველობით უვლიდნენ ამ ნაკვეთებს და უხვი მოსავალი აიღეს. განთავისუფლებულმა კოლმეურნეობებმა დიდი დახმარება მიიღეს, ისინი წარმატებით ეწევიან თავიანთი მეურნეობის აღდგენას.

ზამთრის შეტევითს ბრძოლებში წითელმა არმიამ გერმანული სიბილწისაგან გაათავისუფლა მთელი რიგი ოლქები, ავტონომიური რესპუბლიკები, თითქმის მთლიანად კრასნოდარის მხარე. გერმანელებმა ცეცხლს ბისცეს და დაანგრიეს კოლმეურნეობანი. მათ მოსპეს ინვენტარი, მანქანები, დაიტაცეს საზოგადოებრივი დოვლათი. მწვავე გულისტკივილს განაცდევინებს საბჭოთა ადამიანებს ჰიტლერელი ბანდიტების ბოროტმოქმედება.

ურღვევია საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა. ომის სასტიკმა განსაცდელმა კიდევ უფრო დარაზმა ჩვენი ქვეყნის ხალხები. კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დახმარება თავიანთი ძმებისა და დებისადმი, რომლებმაც გერმანელთა ოკუპაციის მთელი საშინელება გადაიტანეს, ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობისა, რაც სულ უფრო და უფრო იზრდება და მტკიცდება.

იაროსლავლის არტელ გორშიხის კოლმეურნეთა თაოსნობა საბჭოთა გლეხობის დიადი პატრიოტიზმის, ჩვენი ზურგის სიმაგრის, საკოლმეურნეო წყობილების სიმტკიცის ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია.

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო ფართოდ ჩაღდება საგაზაფხულო თესვა. დაე არტელ გორშიხის მიმართვის მხურვალე სიტყვებმა გამოიწვიონ მილიონობით კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებში ძალ-ღონის ახალი მოზღვავება, მგზნებარე სურვილი—რაც შეიძლება უკეთ ჩაატარონ მინდვრის ყველა სამუშაო, არა მარტო შეასრულონ გეგმა, არამედ ამის გადამეტებითაც დასთესონ ჰექტარები თავდაცვის და იმ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დახმარების ფონდისათვის, რომლებიც დაზარალდნენ ფაშისტი დამპყრობლებისაგან, გამოზარდონ, გაასუქონ წითელი არმიისა და განთავისუფლებული კოლმეურნეობებისათვის მრავალი ათასი სული საქონელი გეგმის გადამეტებით.

იაროსლავლელთა მიმართვას კოლმეურნეობანი კონკრეტული ვალდებულებებით უპასუხებენ. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა დაეხმარონ კოლმეურნეობებს ამ ვალდებულებათა შესრულებაში.

წარმატებით ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა, მოვიყვანოთ კარგი მოსავალი და ამით გავაძლიეროთ ჩვენი დახმარება ფრონტისადმი და იმ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისადმი, რომლებიც განთავისუფლებული არიან და თავისუფლდებიან გერმანელი დამპყრობლებისაგან!

„პრავდის“ მოწინავე, 23/IV.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

23 აპრილის დილის ცნობა

22 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ყუბანში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. 5 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის 3 იერიში და მოსპეს 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე მოწინააღმდეგმ ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი გადმოიყვანა შეტევაზე. ჩვენმა მებრძოლებმა ჰიტლერელები ახლო მანძილზე მოუშვეს და ნაღმსატყორცნებისა და თოფ-ტყვიამფრქვევის მძლავრი ცეცხლი დაუშინეს. გერმანელებმა 200-ზე მეტი გვამი და დიდძალი საბურველი დასტოვეს ბრძოლის ველზე და უწესრიგოდ დაიხიეს უკან.

* * *

დასავლეთის ფრონტზე საბჭოთა არტილერიის ცეცხლითი თავდასხმით დანგრეულია გერმანელთა 5 ძელმიწური და ბლინდაჟი. 5 ქვეგანაყოფის სნაიპერებმა გაჟლიტეს 67 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სნაიპერებმა ამხ. პეტრაკოვსკის და შესტაკოვმა 10 ჰიტლერელი მოსპეს.

* * *

ჩუგუევის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგე ნაღმსატყორცნებისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლის საფარქვეშ ცდილობდა სვეერნი დონეცის მარცხენა ნაპირზე გადმოსულიყო. საარტილერიო ცეცხლით გერმანელები გაფანტულ იქნენ და უკან დაიხიეს, ამასთან მდინარის ნაპირზე რამდენიმე ათეული გვამი დასტოვეს. სხვა უბანზე 5 ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი და ააფეთქეს მოწინააღმდეგის 3 საწყობი საომარი მასალა.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით სროლა სწარმოებდა მოწინააღმდეგესთან. საბჭოთა არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 9 ძელმიწური და ბლინდაჟი, ჩახშობილია ორი საარტილერიო და ოთხი სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. მოწინააღმდეგის მზვერავმა რაზმმა იერიში მოიტანა იმ ათეულის პოზიციებზე, რომლის მეთაურიც არის ამხ. შაპკა. ჩვენმა მებრძოლებმა ახლო მანძილზე მოუშვეს ჰიტლერელები, ზალპით სროლა აუტეხეს მათ და მოსპეს 15 გერმანელი ჯარისკაცი. დანარჩენი ჰიტლერელები გაიქცნენ.

საბჭოთა მეზენიტეებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 1 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 15 აპრილს იერიში მიიტანა გერმანელთა გარნიზონზე ერთ დასახლებულ პუნქტში. მოწინააღმდეგესთან გააფთრებულ ბრძოლაში საბჭოთა პატრიოტებმა 40 ჰიტლერელი გაჟლიტეს. ლენინგრადელ პარტიზანების სხვა რაზმმა გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციის რამდენიმე იერიში მოიგერია. პარტიზანებმა მოჰქონდეს მოწინააღმდეგე კონტრიერიშზე გადავიდნენ და გერმანელები იძულებული გახადეს უკან დაეხიათ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 100-მდე გვამი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 3 ტყვიამფრქვევი მრავალი შაშხანა და 11,000 ვაზნა.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 1-ლი ბომბდამშენი ესკადრის მე-2 ჯგუფის მფრინავმა, ობერ-ფელდფებელმა ჰენრიხ ტოტენმა განაცხადა: „ბრიანსკის აეროდრომის მეორე ჯგუფის ორ რაზმს და ორიოლის აეროდრომის მესამე ჯგუფის ორ რაზმს დავალება მიეცათ 11 აპრილს დაებომბათ ქალ. კურსკი. ქალაქის მისადგომებზე ჩვენი თვითმფრინავები გაფანტულ იქნენ საბჭოთა ავიაგამანადგურებლების მიერ. მე, ისე როგორც მფრინავთა უმრავლესობამ, კურსკს ვერ მივაღწიე. თვითმფრინავი დაზიანებულ იქნა რუსი მეზენიტეების მიერ, და მე ბომბების ჩაშოყრაც კი ვერ მოვასწარი. ამ ცოტა ხნის წინათ ვიყავი ვერმანიაში. ტოტალური მობილიზაცია გაჩაღებული იყო. ირმიაში ახალი ათასობით ადამიანები გაიწვიეს. მათ უნდა შეავსონ ის დანაკლისი, რაც შეიქმნა ზამთარში გერმანელთა ჯარების რიგებში. მაგრამ იმას, რომ მიღწევაც გერმანელთა რიუღლა ადარის დივიზიებმა ვერ შესძლეს. მთა უფრო ვერ შესძლებენ პირველ ადამ ჭერნი, რომლებიც ახლა გაწვეული არიან არმიაში. ყველა ეს ხნიერი ვაჭრები და მოსამსახურენი, ლაქიები და კელნერები, რომელთაც ნაჩქარევად ჩააცვეს ჯარისკაცის მუნდირი, არ შეესაბამებიან აღმოსავლეთში ომის მკაცრ მოთხოვნებს და განადგურებულ იქნებიან პირველსავე დიდ ბრძოლებში“.

23 აპრილის საღამოს ცნობა

23 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ბარენცის ზღვაში ჩვენმა ხომალდებმა ჩასძირეს მტრის ტრანსპორტი.

* * *

ყუბანში მტერმა რამდენიმე იერიში მოიტანა, მაგრამ 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით და იძულებული გახდა პირვანდელ პოზიციებზე დაეხია. ტანკისტებმა კაპიტან სუშკინის მეთაურობით რამდენიმე დღის განმავლობაში დასწვეს და დაანიავეს გერმანელთა 17 ტანკი. წინანდებურად აქტიურად მოქმედებდა ჩვენი ავიაცია და მოწინააღმდეგის ავიაცია. საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 36 თვითმფრინავი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები ამაგრებდნენ თავიანთ პოზიციებს, თოფ-ტყვიამფრქვევისა და არტილერიის ცეცხლით სპობდნენ მტრის ცოცხალ ძალასა და ცეცხლე წერტილს. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონი ცდილობდა დაზგერვა მოეხდინა ბრძოლით. ყველა სახეობის იარაღის ცეცხლით მოსპობილია 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დანარჩენი ჰიტლერელები გაფანტულ იქნენ.

* * *

ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მტრის 4 ძელმიწური, მოსპობილია 7 ავტომანქანა და 12 საზიდარი სხვადასხვა ტვირთიანად.

საბჭოთა ავიაციამ დიდი თავდასხმა მოახდინა მტრის აეროდრომზე. პირველი მიფრენისთანავე ჩვენმა მფრინავებმა მიწაზე მოსპეს გერმანელთა 20 თვითმფრინავი. შემდეგი დაბომბვის შედეგების ზუსტად გამორკვევა შეუძლებელი იყო გაჩენილი ხანძრის სქელი კვამლის გამო. გარდა ამისა, საბჭოთა მფრინავები ბომბავდნენ რკინიგზის სადგურებს მტრის ზურგში და მოსპეს გერმანელთა ეშელონი საჭურველიანად და საომარ მასალიანად.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე კანტიკუნტი სროლა იყო ორივე მხრივ. იმ ქვეგანაყოფის სნაიპერებმა, რომლის მეთაურიც არის ლეიტენანტი ვაგინი, უკანასკნელ დღეებში 324 ჰიტლერელი გასწყვიტეს. მოთვალთვალე-მზვერავმა გვარდიის ლეიტენანტმა ვოლოგუევმა აღმოაჩინა მტრის კოლონა 30 საზიდრისა და 150-მდე გერმანელი ჯარისკაცის და ოფიცრის შემადგენლობით. იმ ქვეგანაყოფის არტილერისტებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. პისარევი, დამიზნებული ცეცხლი გააჩაღეს და რამდენიმე ზალპით გაანადგურეს მტრის კოლონა.

* * *

უკრაინელმა პარტიზანებმა შეიტყეს, რომ ქალაქ ნ-ში მოვიდა მტრის დიდი სადამსჯელო ექსპედიცია. ღამით პარტიზანთა რამდენიმე რაზმმა გაერთიანებული ძალებით გადასცეს ყველა გზა და ქალაქის ჩრდილო და ცენტრალური ნაწილი შეიჭრა. ქუჩებში გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები გერმანელებთან. დღის ბოლოს გერმანელთა გარნიზონი და დამსჯელნი განადგურებულ იქნენ. ამ ოპერაციის შედეგად საბჭოთა პატრიოტებმა გასწყვიტეს 400-მდე ჰიტლერელი. მოკლულთა შორის არის გერმანელი გენერალი და ბევრი ოფიცერი. განადგურებულია რამდენიმე საწყობი სამხედრო ჭურვებიანად. წამოღებულია დაახლ: 15 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცანი, 105 ავტომატი და შაშხანა და 20.000 ვაზნა. პარტიზანებმა საპყრობილიდან გაათავისუფლეს 20 საბჭოთა მოქალაქე, რომლებისთვისაც ჰიტლერელებს დახვრეტა მეესაჯათ.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 294-ე ქვეითი დივიზიის 513-ე პოლკის პირველი ასეულის ჯარისკაცმა ჰერბერტ კ-მ განაცხადა: „მე გულის დაავადება მაქვს და ამიტომ განთავისუფლებული ვიყავი სამხედრო სამსახურიდან. მაგრამ 1943 წლის იანვარში მე მაინც გამიწვიეს და სრულიად მოულოდნელად სამარშო ბატალიონთან ერთად გამიმგზავნეს რუსეთში. ბატალიონი მეტად სავალალო შთაბეჭდილებას ახდენდა. აქ შეგროვებული იყვნენ გულის დაავადების მქონენი, ტუბერკულოზიანები და პირდაპირ ნახევრადინვალიდები. ჩვენ 294-ე დივიზიაში გაგვგზავნეს. 513-ე პოლკის პირველ ასეულში, სადაც მე მოვხვდი, სულ 7 ჯარისკაციღა იყო. ჯარისკაცები შიშობენ, რომ რუსები მათ კიღევ ერთ სტალინგრადს მოუწყობენ. ერთმა მათგანმა მითხრა, საშინლად დავიქანცე და, რადაც უნდა დამიჯდეს, აქედან უნდა გავიქცეო. პირველ შესაძლებლობისთანავე მე მასთან ერთად ტყვედ დაგნებდი“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა კალინინის ოლქის სოფელ ბორკში ჩაიდინეს: „სოფელ ბორკიდან უკანდახევისას გერმანელმა დამპყრობლებმა ყველა სახლი დასწვეს. სოფელში ერთი სულიერიც კი არ დარჩენილა. ბორკში შესულმა 5 ნაწილის მებრძოლებმა და მეთაურებმა ნახანძრალში აღმოაჩინეს ქალების, ბავშვებისა და მოხუცების 27 გვამი. მხეცურად ნაწამები 4 ქალიშვილის გვამი შუა ჭუჭაში ეყარა. სოფლის დასავლეთ ბარეუბანში ნაპოვნია ახალგაზრდა ქალის გვამი. მთელი მისი სხეული დაფარული იყო ჭრილობებით, თავი გატეხილი ჰქონდა, ძუძუები კი მოჭრილი. მის გვერდით ეყარა ორი მოკლული ბავშვი ერთიდან სამ წლამდე ასაკისა. ჰიტლერელმა ბანდიტებმა და მკვლელებმა პირისაგან მიწისა ალგავეს სოფელი ბორკი, დასწვეს და დახოცეს სოფლის ყველა მცხოვრები“. აქტს ხელს აწერენ: ლეიტენანტები რ. სტეპანენკო, ს. კრუტეევი, უფროსი სერჟანტი ტ. კურგაევი, წითელარმიელი ს. ტირკინი.

ჩვენი თვითმფრინავების თავდასხმა ქ. ინსბრუკზე

22 აპრილს ღამით ჩვენმა ავიაციამ 200 თვითმფრინავის რაოდენობით მასირებული თავდასხმა მოახდინა ქ. ინსტერბურგზე (აღმოსავლეთი გერმანია). თავდასხმამ 2 საათზე მეტ ხანს გასტანა. სამხედრო და სამრეწველო ობიექტების დაბომბვის შედეგად ქალაქში ბევრგან ხანძარი გაჩნდა. თავდასხმის ბოლოს მთელ ქალაქს ცეცხლი ჰქონდა მოდებული. ხანძარს თან ახლდა ძლიერი და მრავალი აფეთქება.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი, გარდა ერთისა, თავის ბაზაში დაბრუნდა.

საოლქთაშორისო თათბირი ფრონტელთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე

21 და 22 აპრილს რსფსრ რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოში მიმდინარეობდა საოლქთაშორისო თათბირი, რომელიც მიძღვნილი იყო წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახების უზრუნველყოფისა და მომსახურების საკითხებისადმი.

გაწეული მუშაობის შესახებ მოკლე მოხსენებანი გააკეთეს მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეებმა და მოსკოვის, ლენინგრადის, ივანოვოს, ტულის, კიროვის, სმოლენსკის, კალინინის, კურსკის, გორკისა და სხვა ოლქების საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეებმა.

მოსკოვის ოლქში ჩატარებული დეკადის განმავლობაში ფრონტელთა ოჯახებისათვის დახმარების ფონდში შეტანილ იქნა 6 მილიონ მანეთზე მეტი ფულად და 2.000 ტონაზე მეტი სურსათი. დახმარება მიეცა 95.000 ოჯახს. დეკადის შემდეგ ბევრ რაიონში ეს ფონდი იზრდება. ბევრი რაიონის კოლმეურნეები გამოყოფენ პირუტყვს ფრონტელთა ოჯახებისათვის, გეგმების გადამეტებით სთესავენ ჰექტარებს, რომლის მოსავალი სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს მოხმარდებათ.

ივანოვოს ოლქში დახმარება გაეწია ფრონტელთა 202.000 ოჯახს. საოლქო აღმასკომმა გადასწყვიტა დაკონტრაქტოს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის 20.000 სული საქონელი, დამატებით დასთესოს 3.000 ჰექტარი, გამოიყოს ინდივიდუალური ბოსტნებისათვის 8.000 ჰექტარი, დაარიგოს 800 ტონა სათესლე კარტოფილი და სხვა თესლეული.

დიდი ყურადღება ექცევა ფრონტელთა ცოლების კვალიფიკაციის ამაღლებას. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მარტო ლენინგრადში 2.500-ზე მეტი დამწმარე მუშა ქალი კვალიფიციურ მუშად გახდა, 3.700 ქალმა კვალიფიკაცია აიმაღლა, 2.500 ქალი ახალ სპეციალობას სწავლობს.

საინტერესო დონისძიება დაიწყო კიროვის ოლქის სარეწაო კოოპერაციამ და ადგილობრივმა მრეწველობამ. მთელმა რიგმა საწარმოებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით გამოიმუშაონ არასამუშაო დროს 4.480.000 მანეთის ფასნო მოხმარების საქონელი ფრონტელთა ოჯახებისათვის.

თათბირის მონაწილეებმა შეიტანეს მთელი რიგი წინადადებანი ამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პედიაგრიული ფაკულტეტები სამედიცინო ინსტიტუტებთან

მოსკოვი, 22 აპრილი (საკდესი). 1943-44 სასწავლო წლიდან განახლებულ იქნება ჩვენი ქვეყნის უდიდეს სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებთან პედიატრიული ფაკულტეტების მუშაობა.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა მოსკოვის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტის, თბილისის, ბაკოს, ტაშკენტის, ყაზანის, გორკის, ივანოვოს, ყაზახეთის, ომსკის, სარატოვისა და სვერდლოვსკის ინსტიტუტების დირექტორებს შეუდგნენ ამ ფაკულტეტთა მეორე, მესამე და მეოთხე კურსების დაკომპლექტებას. თითოეულ კურსზე მიღებულ უნდა იქნას არა ნაკლებ 100 სტუდენტისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ღონისძიებანი „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საქონლის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის შენარჩუნებისა და საქონლის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 11 მარტის დადგენილების განხორციელებისათვის ღონისძიებათა გატარების შედეგად, 1942 წელს, მიუხედავად ომიანობის დროის სიძნელეებისა, მიაღწიეს პირუტყვის სულადობის შემდგომ ზრდას.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობების საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა 1942 წელს გაიზარდა—მსხვილფეხა რქიანი საქონლისა—3,9 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—3,5 პროცენტით და ღორისა—24,1 პროცენტით. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა 1942 წელს ჩააბარეს სახელმწიფოს ხორცის საავალდებულო მიწოდების ბაზით 29,2 პროცენტით მეტი ხორცი, ვიდრე 1941 წელს.

მნიშვნელოვნად გაადიდეს სულადობა და წარმატებით შეასრულეს 1942 წელს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ბეგეშეკორის რაიონის კოლმეურნეობებმა, სადაც მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გაიზარდა 19,5 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—10,9 პროცენტით, მუშა ხარისა და კამეჩისა—8,4 პროცენტით, ღორისა — 76,5 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—17,2 პროცენტით; ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გაიზარდა 4,7 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—6,4 პროცენტით, მუშა ხარისა და კამეჩისა—4,3 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—7 პროცენტით და ღორისა—43 პროცენტით; წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გაიზარდა 5,2 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—9,4 პროცენტით, მუშა ხარისა და კამეჩისა—4,8 პროცენტით, ღორისა —51,6 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—26,4 პროცენტით; აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გაიზარდა 4,4 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—8,9 პროცენტით, მუშა ხარისა და კამეჩისა — 4,4 პროცენტით, ღორისა — 29,3 პროცენტით; ზობის რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გაიზარდა 6 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—7,6 პროცენტით, ხარ-კამეჩისა—3,1 პროცენტით, ღორისა—94,8 პროცენტით; ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გაიზარდა 11,5 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—17 პროცენტით, მუშა ხარისა და კამეჩისა —9,2 პროცენტით, ღორისა — 69,4 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 15,4 პროცენტით; ქვემო სვანეთის რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გაიზარდა 22,1 პროცენტით, მათ შორის ძროხისა—23,2 პროცენტით, მუშა ხარისა—6,1 პროცენტით, ცხვრისა და თხისა —16,1 პროცენტით.

საქონლის სულადობის გადიდების დარგში კარგ შედეგებს მიაღწიეს აფრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ბოგდანოვკის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ხაშურის, დუშეთის, წალკის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, გალისა და ორჯონიკიძის რაიონების კოლმეურნეობებმა.

1942 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა 1.830,7 ათასი ცენტნერით მეტი უხეში საკვები (თივაზე გადაყვანილი) და 17.781 ტონით მეტი სილოსი დააგროვეს, ვიდრე 1941 წელს.

თბილისის გეგმა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა 1942 წელს 127,4 პროცენტით შეასრულეს. თბილისის აღება წარმატებით ჩაატარეს ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც თბილისის გეგმა 155,7 პროცენტით შეასრულეს, ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებმა—142,3 პროცენტით, წალკის რაიონის კოლმეურნეობებმა—139,4 პროცენტით, ბაშკიჩეთის რაიონის კოლმეურნეობებმა—126,4 პროცენტით და ციღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა—125,9 პროცენტით.

ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეობებმა 1942 წელს 41,1 პროცენტით მეტი სილოსი ჩასდეს, ვიდრე სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებდა, ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა—40,1 პროცენტით მეტი, ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებმა—34,5 პროცენტით მეტი, დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა—30,2 პროცენტით მეტი, ბაშკიჩეთის რაიონის კოლმეურნეობებმა—23,9 პროცენტით მეტი.

1941 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტი უხეში საკვები დაამზადეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, გურჯაანის, წითელწყაროს, ღანჩხუთისა და ცხაკაიას რაიონების კოლმეურნეობებმა.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის ტრესტის ყარაიის და ყულარის საბჭოთა მეურნეობებმა 1942 წელს მიაღწიეს საქონლის სულადობის მნიშვნელოვან გადიდებას, მოზარდეულის შენარჩუნებას და ფხლაანად შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქციის ჩაბარების გეგმა.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ, რაიონული საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად, საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებმა 1942 წელს არა თუ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულეს, არამედ სულადობის შემცირება და როგორც მოზრდილი საქონლის, ისე მოზარდეულის დიდი სიკვდილიანობაც კი აქვთ. ყარაიის რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა შემცირდა 17,8 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—11,5 პროცენტით, ღორისა—20,1 პროცენტით; ამ რაიონის კოლმეურნეობებში დაიხოცა 39,4 პროცენტი ხბო, 43,6 პროცენტი ბატკანი და 24,4 პროცენტი გოჭი; საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა შემცირდა 11,9 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—11,8 პროცენტით, ღორისა — 19,3 პროცენტით; ამ რაიონის კოლმეურნეობებში დაიხოცა 39,6 პროცენტი ხბო, 52,3 პროცენტი ბატკანი და 40,5 პროცენტი გოჭი; ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა შემცირდა 7,1 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—20,2 პროცენტით და ღორისა—1,7 პროცენტით; დაიხოცა 12,7 პროცენტი ხბო. 35,1 პროცენტი ბატკანი და 10,4 პროცენტი გოჭი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ, სპეციალურ გაფრთხილებათა მიუხედავად, მთელ რიგ რა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ღონისძიებანი „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საქონლის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური დადგენილების განხორციელებისათვის

(დასასრული)

ყოველ სულ სარემონტო სახარე ხბოსა და მოზვერზე, აგრეთვე კოლმეურნეობათა მუშა საქონლის შემადგენლობის შესავსებად შეძენილ ყოველ სულ მოზრდილ ხარსა და კამეჩზე მათი ღირებულება სახელმწიფო შესასყიდ ფასებში და კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილებით მისცენ საქონლის ცოცხალი წონის ყოველ კილოგრამზე 5 კილოგრამი უხეში საკვები თივაზე გადაყვანით და იკისრონ ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესრულება იმ ოდენობით, რაც არ უნდა აღემატებოდეს საკოლმეურნეო კომლისა და კოლმეურნეობის არაწევრების მიერ ჩაბარების წლიურ ნორმას.

7. ხორცის ჩაბარების გეგმის უკეთესად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ღორის გასუქების გეგმა 9.000 სულის რაოდენობით.

8. დაევალოს რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს ყოველმხრივი დახმარება წუნდებული ცხვრებისა და მსხვილფეხა რქიანი საქონლის გამოკვებისა და გასუქების ფართო ორგანიზაციის საქმეში — კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი ჯოგის სწრაფი ზრდისა და ხორცის ჩაბარების გეგმის უკეთესად შესრულების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ყოველი კოლმეურნეობისათვის განსაზღვრონ წუნდებული საქონლის გამოსაკვებად და გასასუქებლად დაყენების გეგმა და დაიწესონ მოვალეობა კონტროლი იმაზე, რომ კოლმეურნეობებმა შეასრულონ საქონლის გასუქებისა და გამოკვების დაწესებული გეგმა.

9. დაევალოს რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს გააცნონ ყველა კოლმეურნეობის გამგეობას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ ომის დროს აკრძალულია მსხვილფეხა რქიანი საქონლის ერთ წლამდე ასაკის მოზარდიულის დაკვლა და გაყიდვა, გარდა აშკარა წუნდებული საქონლისა და მხოლოდ წუნდების შემდეგ, რაც უნდა მოახდინონ ვეტერინარულ-ზოოტექნიკურმა მუშაკებმა და დაამტკიცოს რაიმიწგანმა.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს და რაიაღმასკომებს სისტემატურად შეამოწმონ კოლმეურნეობათა მუშაობა ამ დარგში და სასტიკ პასუხისგებაში მისცენ კოლმეურნეობათა ის ხელმძღვანელები, რომელნიც აღნიშნულ წესს არღვევენ.

10. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში:

ა) ორი კვირის ვადაში შეიტანოს ცვლილებანი კოლმეურნეობებისათვის ჩაბარებულ ვალდებულებებში მსხვილფეხა საქონლისა და ღორის ტყავის მიწოდებაზე და გამოიანგარიშოს ამ ტყავის სავალდებულო მიწოდება 1943 წელს იმ ნორმებით, რომლებიც 1940 წელს მოქმედებდა;

ბ) ამავე ვადაში დააზუსტოს იმ კოლმეურნეობათა სია, რომლებსაც აქვთ წარსული წლების დავალიანება სახელმწიფოსათვის მსხვილფეხა საქონლისა და ღორის ტყავის სავალდებულო ჩაბარების დარგში, და უზრუნველჰყოს წარსული წლების ყველა იმ ნაჩაჩენთა ჩამოწერა, რაც ირიცხება კოლმეურნეობებზე ამ ჩაბარებათა დარგში 1943 წლის 1 აპრილისათვის.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწსახკომს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატთან და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საქართველოს მეცხოველეობის ტრესტთან ერთად, ა. წ. 15 მაისამდე შეიმუშაოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს რგოორც საჯიშე საბჭოთა მეურნეობებიდან, ისე კოლმეურნეობათა საჯიშე ფერმებიდან 1943 წელს ჯიშიანი საქონლის დამზადებისა და კოლმეურნეობებისათვის მიყიდვის გეგმა.

12. დაევალოს რაიაღმასკომებს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს განუმტარონ კოლმეურნეობებს, აგრეთვე კოლმეურნეებს საჯიშე საქონლის მიყიდვისა და ხორცის ჩაბარების ანგარიშში ჩათვლის წესი, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 13 აპრილის დადგენილებით.

13. კოლმეურნეობებში სადედე შემადგენლობის ბერწობის ლიკვიდაციის მიზნით, დაევალოს რაიაღმასკომებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) 1943-1944 წლების განმავლობაში დაკომპლექტონ კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ყველა ფერმა მწარმოებლებით შემდეგი ანგარიშით: საშუალოდ ერთი ბღოლა ყოველ 30-40 ძროხაზე, ერთი კერატი 10-12 დედა-ღორზე და ერთი მწარმოებელი ყოჩი 20-30 დედა-ცხვარზე, ამასთან უზრუნველჰყონ ყველა მწარმოებლის კვება კარგი ხარისხის საკვებით;

ბ) გაატარონ ყველა საჭირო ზოოტექნიკური ღონისძიება და მიაღწიონ ყოველ ცხვარსა და ძროხაზე ნამატის ყოველწლიურად მიღებას, აგრეთვე თითოეულ დედა-ღორზე წელიწადში გოჭების სულ მცირე ერთნახევარი მოგებას;

გ) დააწესონ, როგორც სავალდებულო ღონისძიება, ყველა მეწველი ძროხის დაგრილება ხბოს მოგებიდან არაუგვიანეს 60 დღისა, კარდა მაღალი წველადობის ძროხებისა, რომელთა დაგრილების ვადებს აწესებენ კოლმეურნეობათა ზოოტექნიკოსები ან მესაქონლეები, დედა-ღორებისა—გოჭების ძუძუს მოსნების შემდეგ, დედა-ცხვრებისა და თხებისა—ბატკნების მოშორებიდან თვენახევრის — ორი თვის შემდეგ, აგრეთვე სადედე შემადგენლობის მოზარდიულისა: 18-24 თვის ასაკის უშობლებისა, 12 თვის ასაკის თოხლებისა და 9 თვის ასაკზე მეტი ბურვაკებისა.

14. კოლმეურნეობებში ჯიშიანი მწარმოებლების შენარჩუნების მიზნით, წინადადება მიეცეს რაიაღმასკომებს და საკ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, აგრეთვე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს მოაწყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯიშიანი მოზარდიულის გადარჩევა და გამოზრდა ჯიშიანი მწარმოებლების შემადგენლობის შემდგომ შესავსებად.

შემოიღონ შემდეგში ისეთი წესი, რომლის დროსაც ჯიშიანი მწარმოებელი ბუღები პირველი გენერაციის ზევით შეიძლება დაწუნებულ იქნან მხოლოდ რაიმიწგანის ზოოვეტკომისიის მიერ იმ ანგარიშით, რომ შემდეგში დაწუნების აქტი დაამტკიცოს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომმა.

15. ნება დაერთოს კოლმეურნეობებს არაჯიშიან ფერმებში, აგრეთვე ჯიშიან ფერმებშიაც, რომელთაც ერთი მწარმოებელი ჰყავთ, შემოიღონ ძროხებისა და ცხვრების თავისუფალი დაგრილება, ამასთან დაუშვან ჯიშში შემოწმებული მწარმოებლები.

დაევალოს რაიმიწგანებს მოაწყონ იმ მწარმოებლების გულდასმით შემოწმება რაიმიწგანის ვეტზოოტექნიკური კომისიების მიერ, რომლებსაც თავისუფალი დაგრილებისათვის იყენებენ. კატეგორიულად აიკრძალოს ძროხებისა და ცხვრების დაგრილება შეუმოწმებელი და რაიმიწგანის კომისიების მიერ მოუწონებელი მწარმოებლებით.

აიკრძალოს თავისუფალი დაგრილების გამოყენება იმ ჯიშიან ფერმებში, რომელთაც ორი და მეტი ჯიშიანი ბუღა ჰყავთ, აგრეთვე იმ ფერმებში, რომელთაც ძვირფასი ჯიშიანი მწარმოებლები ჰყავთ.

დაწესდეს 1943 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ძროხების ხელოვნური განაყოფიერების გეგმა 13.000 სულის რაოდენობით.

17. ძროხების ხელოვნური განაყოფიერების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარების მიზნით, დაევალოს რაიაღმასკომებს თავმჯდომარეებს, საკ. კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებს, აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომს შეამოწმონ საქონლის ხელოვნური განაყოფიერების პუნქტების მდგომარეობა, შეაკეთონ და სრულ მზადყოფნაში მოიყვანონ ეს პუნქტები, ამასთან მთელი ეს მუშაობა დაამთავრონ არა უგვიანეს 1943 წლის 5 მაისისა.

ამასთან ერთად შეამოწმონ ხელოვნური განაყოფიერების პუნქტებში ინსტრუმენტარიუმისა და მასალების არსებული რაოდენობა, მიიღონ ზომები მათი დამატებითი მოსწყობად და ხელოვნური განაყოფიერების დარგის ტექნიკოსთა სათანადო კადრებით უზრუნველსაყოფად.

18. დაწესდეს საშუალო-ფლიური წველადობა რესპუბლიკაში ერთ საფურაეე ძროხაზე კოლმეურნეობებში 800 კილოგრამის რაოდენობით.

19. აღინიშნოს, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობას არ შეუსრულებია საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 31 მარტის № 526 დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საზოგადოებრივი პირუტყვის სადგომებით უზრუნველყოფას. რის გამო დაევალოს რაიაღმასკომებს და საკ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს შეამოწმონ, თუ რამდენად უზრუნველყოფილია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საქონელი საქონლის სადგომებით — თავლებით, ბაკებით, საღორეებით, ფარეხებით და მიიღონ საჭირო ზომები იმისთვის, რათა საცხებით უზრუნველყოფილ იქნას 1943-44 წლის ზამთრისათვის კოლმეურნეობათა მთელი საზოგადოებრივი ჯოგი სათანადო სადგომებითა და მოწყობილობით (საბძურები, ბეჯები, ბაგები, გობები და სხვ.), ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საუკეთესო, მშრალი და ნათელი სადგომების გამოყოფას მოზარდიულისათვის.

ზამთრისათვის სადგომების მომზადება (რემონტი, დასუფთავება, დეზინფექცია და სხვ.) საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში დამთავრდეს 1943 წლის 1 ოქტომბრისათვის.

II. საკვების დარგში

20. იმის გამო, რომ საჭიროა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საქონლის მოთხოვნილების უზრუნველყოფა, სახელმწიფოსათვის თივის სავალდებულო ჩაბარების შესრულება, უხეში საკვების სადაზღვევო მარაგის შექმნა და კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში არსებული საქონლის უზრუნველყოფა,—დაწესდეს 1943 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისათვის უხეში საკვების დაგროვების გეგმა (თივაზე გადაყვანით) 13.348 ათასი ცენტნერის რაოდენობით და სილოსის ჩადების გეგმა—150 ათასი ტონის რაოდენობით.

21. დაევალოს რაიაღმასკომებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, ამა წლის 15 მაისამდე დაამთავრონ მრავალწლოვანი ბალახების სათესლეების გამოყოფა იმ ოდენობით, რაც დაწესებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 23 მარტის დადგენილებით „საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“.

22. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა გამგეობებს დასტოვონ სათესლედ 1943 წლის ნათესებიდან მოჰარი, სუდანური არანაკლებ 75 პროცენტისა და ცერცველა არანაკლებ 100 პროცენტისა.

23. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან კოლმეურნეობანი საკვები ძირხვენა მცენარეების საკუთარი თესლით, დაევალოს რაიაღმასკომებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს და მიაღწიონ 1943 წელს ყველა კოლმეურნეობაში საკვები ძირხვენა მცენარეების ნათესთა საუკეთესო მოსავლიანი ნაკვეთების გამოყოფას, ჩაატარონ საუკეთესო ძირების გადარჩევა და მოაწყონ მათი შენახვა 1944 წლის გაზაფხულამდე სათესლედ გადასარგავად.

24. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომს არაუგვიანეს 1943 წლის 10 მაისისა საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს წარმოუდგინოს სათავედ ბალახების მეორე მოთიბვის ჩატარების რაიონობრივი გეგმა.

25. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს მეთვალყურეობა გაუწიონ ყოველგვარი სახის საკვების დამზადების საქმეს, სისტემატურად შეამოწმონ კოლმეურნეობებში საკვების სწორად შენახვის, გამოყენებისა და საქონლისათვის საჭმევად მომზადების ღონისძიებანი, ამასთან სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებიც კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საქონლის საკვებით უზრუნველყოფის საქმეს ფუშავენ.

26. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს მისცეს მითითება სატყეო-სამრეწველო მეურნეობებს, რათა 1943 წელს დაუთმონ კოლმეურნეობებს რაიაღმასკომების მოთხოვნები თივის მოსათიბავად და საქონლის საძოვებლად სატყეო სავარგულების ის ფართობები, რომლებიც გამოსადეგია ამ მიზნებისათვის.

27. რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს გამოჰყონ მეცხოველეობის ფერმების მახლობლად 3-5 ჰექტარი მიწა ძირხვენა მცენარეებისა და კარტოფილის დასათესად ღორებისათვის, ამასთან დაამუშაონ ეს ნაკვეთები მეცხოველეობის ბრიგადების ძალებით და მიამაგრონ ფართობები ცალკეულ მუშაკებს. მეცხოველეობის ბრიგადების მუშაკებს, ძირხვენა მცენარეებისა და კარტოფილის დამუშავებისათვის შრომადღეების დარიცხვის გარდა, მიეცეთ გეგმის გადამეტებით აღებული მოსავლის ერთი მესამედი ნაწილი.

დაწესდეს, რომ ძირხვენა მცენარეებისა და კარტოფილის მთელი მოსავალი, რაც აღებულია მეცხოველეობის ფერმების მუშაკთა ძალებით დამუშავებულ ნაკვეთებზე, გამოყენებული იქნება მხოლოდდამხოლოდ საქონლის გამოსაკვებად.

III. მეფრინველეობის, მეკურდღლეობისა და მეფუტკრეობის დარგში

28. დაწესდეს 1943 წლის დამლევისათვის მოზრდილი ფრინველის გამოსასვლელი სულადობის გეგმა საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში იმ ანგარიშით, რომ გადიდდეს იგი 20,7 პროცენტით, კურდღლისა—4-5-ჯერ და ფუტკრის ოჯახებისა—3,2 პროცენტით.

29. საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს სწორად არ მიაჩნიათ ბევრ კოლმეურნეობაში არსებული პრაქტიკა, როდესაც კოლმეურნეობებში მეფრინველეობის განვითარების გეგმა უმთავრესად სრულდება კოლმეურნეებისაგან მოზრდილი ფრინველის შეყიდვის ხარჯზე და სათანადო ყურადღება არ ექცევა საკუთარი ფრინველის გამოზრდას ფერმებში.

დაევალოს კოლმეურნეობათა გამგეობებს მოაწყონ მომდინარე წელს მეფრინველეობის ყველა ფერმაში წიწილების გამოჩეკა და გამოზრდა, როგორც ინკუბაციის გზით, ისე კრუხების დაჯენის გზითაც, და უზრუნველჰყონ მოზარდეული და მოზრდილი ფრინველის სათანადო მოვლა, შენახვა და კვება.

30. წინადადება მიეცეს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომს 1943 წლის 15 მაისისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს წარმოუდგინოს წინადადებანი 1943 წელს მეფრინველეობის ახალი საინკუბაციო სადგურების მოწყობისა და საკოლმეურნეო ინკუბატორების ქსელის გაშლის შესახებ.

31. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომს:

ა) გაითვალისწინოს მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადების 1943 წლის გეგმით საჭირო რაოდენობის საშუალო კვალიფიკაციის მეფრინველე ზოოტექნიკოსთა მომზადება. ამ კადრების მომზადება დაამთავროს 1943 წლის 15 ივლისამდე;

ბ) სამი თვის ვადაში დაამთავროს რაიმიწგანების დაკომპლექტება მეფრინველე ზოოტექნიკოსებით.

IV. საქონლის შეძენაში კოლმეურნეებისათვის დახმარების განევის შესახებ

32. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და რაიაღმასკომებს მოაწყონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარება კოლმეურნეებისადმი და პირველ რიგში წითელარმიელთა ოჯახებისადმი, რომელთაც საქონელი არა ჰყავთ, ხბორების, ღორებისა და ცხვრების შეძენაში, შესყიდვის გზით.

33. ნება დაერთოს იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც მეღორეობის განვითარების გეგმას და ღორების გასუქების გეგმას ასრულებენ, მიჰყიდონ კოლმეურნეებს კოლმეურნეობათა გამგეობის მიერ დაწესებულ ფასებში გოჭები სახორცედ გამოსაზრდელად.

34. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომს, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორასთან ერთად, საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს წარმოუდგინოს გეგმა კოლმეურნეთა დაკრედიტებისა საქონლის შესაძენად.

35. დაევალოს რაიაღმასკომებს და სამიწთამოქმედო ორგანოს უზრუნველჰყონ განუხრელად განხორციელება დადგენილი წესისა, რომლის მიხედვითაც კოლმეურნეებს უნდა მიეცეთ სათიბი სავარგულები კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში არსებული საქონლის საჭიროებისათვის.

ამასთან ერთად დაუთმონ კოლმეურნეთა, სოფელ ადგილების მუშათა და მოსამსახურეთა საქონლისათვის სახელმწიფო სამიწთამოქმედო ფონდისა და სახელმწიფო სატყეო ფონდის გამოუყენებელი ნაკვეთები.

* * *

36. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, რაიაღმასკომებსა და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს:

ა) ამა წლის 26 აპრილამდე დაიყვანონ ცალკეულ კოლმეურნეობებამდე მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის გეგმა, აგრეთვე საკვების დაგროვების დავალებანი;

ბ) ამა წლის 10 მაისამდე დაამთავრონ მეცხოველეობის საწარმოო დავალებათა დაყვანა მეცხოველეობის ცალკეულ ფერმებამდე და ბრიგადებამდე, აგრეთვე ბრიგადების ფუვრებამდე (მწველავები, მწყემსები, მეხბორეები, საქონლის მომვლელები, მეკვინიბეები, მეღორეები და სხვ.); მოაგვარონ როგორც საკენ, მტრის ულმობელი განადგურებისაკენ მოუწოდებს ქვეყნის უერთგულეს პატრიოტებს. მისი „სამშობლოს“, „წინ, დასავლეთისაკენ!“ და „ჩვენი კავკასია“ ციცხლოვან მოწოდებად გასმამის და ჩვენი ხალხის დიადს ბრძოლას ასახავენ.

პოეტი მოუწოდებს:

„ქვლავ ვაღელვაროთ, ძმებო, მახვილი,
არავის მივცეთ მიწა მდიდარი,
წამით არ იყოს დროშა დახრილი,
დროშა მარადის დაუბინდარი,
სტალინის სიტყვის გამოძახილი
ფრონტზე დაჭროდეს როგორც გრიგალი!“

* * *

დიმიტრი გულია ცნობილია, როგორც პროზაიკოსი და მთარგმნელი. მისი საკმაოდ მოზრდილი რომანი „კამაჩიჭი“ დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს აფხაზ მკითხველთა შორის. ამ ნაწარმოებში, აგრეთვე ათეულობით პატარა მოთხრობებში განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ხალხის ცხოვრების, მისი ყოფის ღრმა ცოდნა.

განსაკუთრებით დიდი და ფასდაუდებელი შრომა გასწია დ. გულიამ თარგმნის დარგში. მისი მადლიანი კალმის წყალობით იცნობს აფხაზი მკითხველი მშობლიურ ენაზე რუსულ და ქართულ კლასიკურ ლიტერატურას. მან სთარგმნა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, პუშკინის, ლერმონტოვის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, შევჩენკოს შესანიშნავი ნაწარმოებნი.

დიდი მუშაობა გასწია პოეტმა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაზე. ამ საპატიო საქმეს იგი შეუდგა 1937 წელს და დაამთავრა 1940 წელს. მშობლიურ ენაზე აფხაზ ხალხს მან მიაწოდა მხატვრული სიტყვის ეს დიადი ძეგლი. შოთას მადლით მოსილ ტარიელისა და ნესტანის ამბავს,—სიყვარულის, გმირობისა და მეგობრობის ამ შეუდარებელ ჰიმნს, ახლა შორეულ მთებშიც კი აფხიაზეთზე აფხაზურად მღერიან.

* * *

დ. გულიას სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული აფხაზური დამწერლობისა და მწიგნობრობის ისტორიასთან, სკოლასთან და თეატრთან. 1862 წელს ბარონ უსლარის მიერ დამუშავებულ აფხაზურ დამწერლობას თან ახლდა იმოდენა დეფექტები, რომ იგი არ გაეკარა ხალხის გულს. საქმეს გენერალ ბარატოლომეის აფხაზურმა ანბანმაც ვერ უშველა. უფრო გვიან—1892 წელს დ. გულიამ კ. მაჭავარიანთან ერთად შეადგინა პირველი აფხაზური დედა-ენა, რომელიც თბილისში გამოიცა. ამის შემდეგ, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, მან შეადგინა მთელი რიგი სახელმძღვანელოები აფხაზური სკოლებისათვის. თვითონ დ. გულია 30 წლის მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

აფხაზეთის სახელმწიფო თეატრი პირველად ჩაისახა 1921 წელს, მისი პირველი დასი შეადგინა დ. გულიამ და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას.

* * *

დ. ი. გულია დაიბადა 1874 წელს, 17 მაისს, სოფელ უარჩაში, აფხაზეთში. 1883 წელს დ. გულია მიაბარეს ადგილობრივ ხუცესს, რომელმაც მას წერა-კითხვა შეასწავლა. შემდეგ იგი სწავლობდა სოხუმის ორკლასიან სასწავლებელში, შემდეგ—ქ. გორის სამასწავლებლო სემინარიაში.

მას სისტემატურად ირჩევდნენ აფხაზეთის ასსრ ცაკის წევრად. ამჟამად იგი არჩეულია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და პრეზიდიუმის წევრად.

აფხაზეთის ასსრ ცაკის პრეზიდიუმმა მას მიანიჭა აფხაზეთის სახალხო პოეტის სახელი. 1941 წელს დ. ი. გულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვა.

გულიას გამოცემული აქვს 40-მდე სახელწოდების სხვადასხვა წიგნი.

გ. მერკვილაძე

დეპეშები

ბელგიელი ხალხის ბრძოლა ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ

ლონდონი, 23 აპრილი (საკადესი). ლონდონში მყოფ ბელგიელთა წრეებმა მიიღეს ცნობა გაბედული ოპერაციის შესახებ, რაც ამას წინათ ბელგიელმა პარტიზანებმა ჩაატარეს ერთ-ერთი რკინიგზის ხაზზე გენოს პროვინციაში. პარტიზანებმა იმ მატარებლის შესახედრად, რომელიც გერმანელთა ტვირთით იყო დატვირთული, ცარიელი შემადგენლობა გაუშვეს. დაჯახებისას ორივე მატარებელი სავსებით დაიმსხვრა. ამ დივერსიისათვის რეპრესიის სახით გერმანელებმა ამ რაიონში დაპატიმრეს 150 მძევალი. როდესაც ქარხანა „პროვიდანსის“ ადგილობრივმა მუშებმა მძევალთა დაპატიმრების აშზავი შეიტყეს, მათ გაფიცეს გამოაცხადეს. გერმანელებმა დაპატიმრეს კიდევ 150 კაცი და გამოაცხადეს, თუ ბოლო ოცდაოთხ საათში ჩასვლამდე 5.000 კაცი, თუ გაფიცვა არ შეწყდებოდა. მუქარის მიუხედავად, გაფიცულმა რამდენმა ადამიანმა გაგრძელა.

20 აპრილს ბრიუსელში პატრიოტებმა მოჰკლეს ჰიტლერის აგენტი დე კუურნე. უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში ბელგიის სხვადასხვა ქალაქში მოკლულია კიდევ 4 გამცემი.

ბელგიაში დაბანაკებულ გერმანელთა ხაოკუპაციო ნაწილებში შენიშნულია დეზერტირობის ზრდა და დისციპლინის შესუსტება. ხშირდება შემთხვევები დეზერტირების შეიარაღებული წინააღმდეგობისა მათი დაკავების დროს.

30 ფრანგის დახვრეტა პარიზში

ლონდონი, 22 აპრილი (საკადესი). რეიტერის სააგენტოს მიერ ციურიხიდან მიღებული ცნობის თანახმად, პარიზში დახვრეტილია 30 ფრანგი იმისათვის, რომ ისინი სახლების კედლებზე ანტიგერმანულ წარწერებს აკეთებდნენ.

ფრანგი პატრიოტების ბრძოლა ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ

ლონდონი, 22 აპრილი (საკადესი). ფრანგული გაზეთები, რომლებიც ლონდონში გაინდოდა, იუწყებიან, რომ გაცხოველდა ფრანგი პარტიზანების მოქმედება. მოკლე ხნის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაგდეს ბეგრი მატარებელი, რომლებსაც გერმანელებისათვის განკუთვნილი ტვირთი გადაჰქონდათ. ასე, მარტო 4 რაიონში დამსხვრეულია 63 ვაგონი და 3 ორთქლმავალი. არას-სენ-პოლის ხაზზე აფეთქებულ იქნა მთელი შემადგენლობა. მატარებლის მარცხის დროს მოკლულია ასობით ჰიტლერელი. ხშირდება აგრეთვე პარტიზანების თავდასხმები ჯარისკაცებსა და ოფიცრებზე ქალაქებში. არფანტეიში (პარიზის მახლობლად) პარტიზანებმა გრანატები დაუშინეს ჰიტლერელ ჯარისკაცთა რაზმს, რომელთაგან ბევრი მოკლულ და დაჭრილ იქნა. ლიონში გერმანელ ჯარისკაცთა რაზმს თავს დაესხნენ თავისუფალი მსროლელნი, რომლებმაც დასჭრეს 25 კაცი. მარსელში ამ უკანასკნელ დღეებში მოკლულ და დაჭრილ იქნა 50-მდე ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი. პარიზში გასული კვირის მანძილზე მოჰკლეს ჰიტლერის 35 აგენტი—წევრები დორიოს ფაშისტური ორგანიზაციისა და სხვა ჯგუფებისა, რომლებიც დახმარებას უწევენ ჰიტლერელ ოკუპანტებს.

ანგიუნგრული პროპაგანდა რუმინეთში

სტამბოლი, 20 აპრილი (საკადესი). რუმინეთის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გააფთრებული ანტიუნგრული პროპაგანდა მიმდინარეობს. გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში გამართულ საღამოებზე გაშმაგებული ანტიუნგრული სიტყვებით გამოდიან თავის დროზე ჩრდილოეთ ტრანსილვანიიდან ემიგრირებული პირები. ერთ-ერთი ასეთი კრება აშკარა ანტიუნგრულ დემონსტრაციად გადაიქცა.

რუმინულ გაზეთ „პორუნკა ვრემის“ ცნობებით, რუმინეთის ხელისუფალნი ჩრდილოეთ ტრანსილვანიიდან ლტოლვილ ყველა მცხოვრებთა აღწერას შეუდგნენ. განსაკუთრებულ აღრიცხვაზე აყავთ მამაკაცები, რომელთაც იარაღის ხმარების უნარი აქვთ და ცნობილი არიან თავიანთი ანტიუნგრული განწყობილებით.

ახალი მასობრივი დაპატიმრებანი და ხვრეტა რუმინეთში

სტამბოლი, 21 აპრილი (საკადესი). ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, რუმინეთში გრძელდება მოსახლეობის მასობრივი დაპატიმრებანი. ჰიტლერული გაზეთი „დონაუ ციტუნგი“ იუწყება, რომ რუმინეთის დედაქალაქში ამ ცოტა ხნის წინათ დაპატიმრეს 95 კაცი, რომლებსაც ბრალად დასდეს მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობა და ანტიფაშისტური აგიტაცია. რუმინული გაზეთი „ტიმპული“ იუწყება, რომ იარაღის უკანონოდ შენახვისათვის ამ უკანასკნელ ხანს რუმინეთში სიკვდილით დასაჯეს მრავალი პირი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააფრთხილა, რომ „ხელისუფალნი ულმობლად გაუსწორდებიან იმ პირთ, რომლებიც იარაღს მალავენ. რუმინელი ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებმაც რაიმე მიზეზით ფრონტიდან გამოწვევისას იარაღი არ ჩააბარეს, გაუსამართლებლად და გამოუძიებლად იქნებიან დახვრეტილნი“.

უკმაყოფილება ომით, ბოლშევიზმი და სასოწარკვეთილება იპყრობს რუმინელი მოსახლეობის სულ უფრო და უფრო ფართო ფენებს. ჰიტლერული გაზეთი „ბუკარესტერ ტაგბლატის“ აღიარებით, ჯარისკაცთა უიმედო განწყობილება ხშირად ისეთივეა, როგორიც ზურგში მყოფ მათ ნათესავთა განწყობლება.

პოლონელ პატრიოტთა ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ

ლონდონი, 20 აპრილი (საკადესი). ლონდონის რადიოს ცნობით პოლონელ პატრიოტთა შეიარაღებული რაზმები განუწყვეტლივ ესხმიან თავს გერმანელთა კომუნიკაციებს. პოლონელმა პარტიზანებმა მარტო ერთი თვის განმავლობაში მოსპეს აღმოსავლეთის ფრონტზე მიმავალი 17 მატარებელი. პოლონეთის ცენტრალურ ნაწილში 20 ადგილას იქნა მოწყობილი აფეთქება რკინიგზაზე. მოსპობილია 7 ორთქლმავალი და 112 ვაგონი.

შვედური გაზეთი საბჭოთა მებრძოლების გმირობის შესახებ

სტოკჰოლმი, 22 აპრილი (საკადესი). შვედური გაზეთის „ნიუა დაგლიტ ალეჰანდას“ კორესპონდენტი ლეფგრენი, რომელმაც ამას წინათ გერმანიის ჯარები ინახულა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, იუწყება, რომ გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები „ჩივიან“ მოწინააღმდეგის უმაგალითო სიმტკიცესა და შეუპოვრობას. მათი აღიარებით, საბჭოთა მებრძოლები და მეთაურები, დაჭრილნიც კი ვაზნის გამოლევამდე და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძვიან. ერთი პოლიტელი, რომელიც გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს, შეუპოვრად უარობდა პასუხი გაეცა მის დამკითხველ ოფიცერთა კითხვებზე. მაშინ გერმანელებმა წამებას მიმართეს. მაგრამ ვერც ერთი სიტყვა ვერ წამოიკიდენინეს ტყვეს. დაკითხვის დროს მან თავი მოიკლა—თავი შეანარცხა კლდეს, რომლის წინაც იდგა.

ლექციები ჯ მოხსენებები

25 აპრილს, დილის 12 საათზე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო კრებაზე ბიბლიოთეკის დარბაზში (ჯავახიშვილის ქ. № 1) მოხსენებას წაიკითხავს პროფ. **ბ. ნ. გეხტმანი** თემაზე: **„გამოჩენილი რუსი გეოგრაფი ბ. პ. ხემეონოვ - ტიანშანსკი (1870-1942)“.**

დასწრება თავისუფალია.

კინოებში

რუსთაველის სახ. — „რაიკომის მდ